აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში

(01.09.2015 – 31.08.2016)

2016 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის მიერ
გაწეული საქმიანობის ანგარიში

(01.09.2015 - 31.08.2016)

კომისიის შემადგენლობა

კომისიის თავმჯდომარე - **მედეა ვასაძე**

კომისიის წევრები:

თემურ ბოლქვაძე

დავით ბაციკაძე

პეტრე ზამბახიძე

თემურ კახიძე

აკაკი ძნელაძე

კომისიის აპარატის თანამშრომლები

კომისიის აპარატის უფროსი - ლიანა ვაჩეიშვილი

კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე - თამარ წილოსანი

მთავარი სპეციალისტი - ეკატერინე ბერიძე

წამყვანი სპეციალისტი - ირაკლი აბაშიძე

უფროსი სპეციალისტი - თამაზ ქობულაძე

საქართველო, ქობულეთის მუნიციპალიტეტი
ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. 25
ტელ: 032 (2) 285478/76

I. საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის 17 სხდომა, რომელზეც განხილულია 11 კანონის, 6 დადგენილების, 3 რეგლამენტის პროექტები. მოსმენილია და ცნობადაა მიღებული 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი და სამი კვარტლის შესრულების ანგარიში, 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომზადებულია 25 დასკვნა.

საკანონმდებლო ინიციატივა:

1. კომისიის თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს წევრის, მედეა ვასაძის საკანონმდბლო ინიაციატივა დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ (რეგისტრაცია: 18.03.2016), რომელიც 2016 წლის 19 ივნისს აჭარის ა.რ. უმაღლესმა საბჭომ მიიღო.

დადგენილების მიღების მიზეზს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 142 1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულება წარმოადგენდა.

აღნიშნული დადგენილებით უმაღლესი საბჭო მოახდენს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პოლიტიკის განხორციელებას რეგიონულ დონეზე, რომელითაც მიღწევადი იქნება რეგიონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონების, პარლამენტის დადგენილების „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ (შემდგომში - „სამოქმედო გეგმა“) რეალური იმპლემენტაცია და მათი აღსრულების მონიტორინგი.

საყურადრებოა, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარება „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ საქართველოს შესასრულებელ მთავარ ვალდებულებებშია გაწერილი, რაც კავშირშია ქალთა დისკრიმინაციის, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან ბრძოლაში. ამდენად, სამოქმედო გეგმა იქნება დამხმარე დოკუმენტი ვალდებულებათა შესრულების კუთხით რეგიონულ დონეზე.

სამოქმედო გეგმა შედგენილია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) რეკომენდაციების („ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ “ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების საფუძველზე, 18 ივლისი, 2014), ასევე სტამბულის კონვენციის პირობათა დაცვით, რაც ამავდროულად ხელს შეუწყობს რეგიონში ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლინებისას ქმედით რეაგირებას.

2. საანგარიშო პერიოდში კომისიამ შეიმუშავა ასევე საკანონმდებლო ინიციატივა - „აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე - ინიციატორი კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე.

საკანონმდებლო ინიციატივა ეხება პარტიული სიის შედგენისას გენდერული ბალანსის დაცვას.

II. კორესპონდენციების რაოდენობა

შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა (საქართველოს პარლამენტიდან, უმაღლესი საბჭოდან, აჭარის მთავრობიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სხვადასხვა უწყებიდან და მოქალაქეებიდან) - 572 (მათ შორის მოქალაქეებისგან - 246).

გასული კორესპონდენციის რაოდენობა - 642

III. მოქალაქეთა განცხადებები სტატისტიკა და თემატიკა

კომისიაში შემოსულია მოქალაქეთა 246 განცხადება

მოქალაქეთა განცხადებების თემატიკა და რაოდენობა 2015 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით

საკითხი	რაოდენობა
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	12
საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე შუამდგომლობის თხოვნა	1
ფულადი დახმარება სამედიცინო დანიშნულებით	5
სამართლიანობის აღდგენაში დახმარების თხოვნა	6
სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე შუამდგ. თხოვნა	21
დახმარების დანიშნვა	10
პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა	47
ციხის ადმინისტრაციისადმი პრეტენზია	48
გამოძიების გაჭიანურება	4
სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება	10
საყოფაცხოვრებო პრობლემები	10
მიწის საკუთრება	4
საცხოვრებლიდან გამოსახლება	6
იპოთეკით შექმნილი პრობლემა	7
ქონებრივი უფლებების დარღვევა	6
პატიმარზე ფიზიკური ძალადობა	15
მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება	3
დასაქმება	10
დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა	2
მატერიალური ზარალის ანაზღაურება	5
უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემაზე შუამდგ. თხოვნა	1
სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი კანონდარღვევა	1
თვითნებურად ჩასახლებულ მოქალაქეთა განცხადება	2
საოჯახო საკითხები	5
ნასამართლობის მოხსნა	1
ჯარიმების გაუქმები	1
გადასახადების გადავადება	1
სტაციონარში მოთავსების შესახებ თხოვნა	1
ქალზე ძალადობა	1
სულ	246

გადაგზავნილი განცხადებების ადრესატები და რაოდენობა 2015 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით

შუამდგომლობის ადრესატი	რაოდენობა
აჭარის მთავრობის თავმჯდომარე	29
აჭარის პროკურატურა	23
აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო	9
სასჯელაღსრულების დაწესებულებები	127
ბათუმის მერია	22
აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველო	2

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	10
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	69
აღსრულების ეროვნული ბიურო	10
კერძო ორგანიზაცია	33
საქართველოს პრემიერ-მინისტრი	3
აჭარის კულტურილი მემკვიდრეობის სააგენტო	2
შეწყალების კომისია	2
საქართველოს მთავარი პროკურატურა	10
საქართველოს პარლამენტი	6
ხელვაჩაურის საკუთრების აღიარების კომისია	1
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	2
აჭარის დასაქმების სააგენტო	9
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	2
ხულოს მუნიციპალიტეტი	1
ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	2
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1
აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	6
სოციალური მომსახურების სააგენტო	15
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1
საქართველოს სოლიდარობის ფონდი	1
საქართველოს პრეზიდენტი	21
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	9
სსიპ შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	1
აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	3
საჯარო რეესტრი	6
მოქალაქეები	128
ბაატუმის ბოტანიკური ბაღი	1
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	1
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2
აჭარის ა.რ. პოლიციის დეპარტამენტი	3
აჭარის ა.რ. იურიდიული დახმარების ბიურო	3
სსიპ „ბათუმის სასაფლაოები"	1
ბათუმის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო	1
ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის I განყოფილება	1
შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	1
ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის III განყოფილება	1
საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია	2
ბათუმის საქალაქო სასამართლო	1
გაზეთი „ბათუმელები"	1
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	1
სულ	**586**

რეაგირებულია 246-ივე ანუ გადაგზავნილია ქვემდებარეობის მიხედვით.
დადებითადაა გადაწყვეტილი 78.
არგუმენტირებული უარია 66-ზე.
გადაწყვეტის პროცესშია - 102.
კომისიამ 80 შუამდგომლობით მიმართა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირს (ორგანიზაციას).

IV. მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში კომისიის წევრები უმაღლეს საბჭოში მოქალაქეთა მიღების ფარგლებში შეხვედნენ 353 მოქალაქეს

კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე - 167 -ს უმაღლესი საბჭოს შენობაში, (მის გარეთ - 100-ს)

კომისიის წევრები :	
დავით ბაციკაძე	- 80
აკაკი ძნელაძე	- 39
პეტრე ზამბახიძე	- 32
თემურ ბოლქვაძე	- 7
თემურ კახიძე	- 28

V. კომისიისა და კომისიის თავმჯდომარის ღონისძიებები

1. 9 სექტემბერი, 2015 წ.

კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერთან მურმან დუმბაძესთან ერთად ქობულეთში, სოფ. თიკერში მცხოვრები რამდენიმე ოჯახი მოინახულა, რომლებსაც აღნიშნულ დასახლებაში წლების წინ თავშესაფარი მისცეს.

მედეა ვასაძემ შეხვედრისას განაცხადა, რომ ისინი სიცოცხლისათვის საშიშ ვითარებაში ცხოვრობენ. მათივე ცნობით მოუწესრიგებელია საგზაო ინფრასტრუქტურა, მოშორებითაა ბაღიც და სკოლაც. აღნიშნულზე დეპუტატებმა რეაგირებისათვის მიმართეს ადგილობრივ თვითთმართველობას.

2. 10 სექტემბერი, 2015 წ.

კომისიის თავმჯდომარემ ბათუმში ურთიერთშელაპარაკებისას მოკლული ახალგაზრდის მ. ა.-ს ოჯახი მოინახულა ჩაქვში და მიუსამძიმრა მათ. ამ მძიმე შემთხვევისას დაღუპული იქნა კიდევ ერთი ახალგაზრდა და სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება მიიღო კიდევ ერთმა პირმა.

მედეა ვასაძემ აღნიშნა, რომ ორი ახალგაზრდა ჯანმრთელი ადამიანის დაკარგვა ჩვენი საზოგადოებისთვის, მით უფრო ახლობლებისთვის ძალიან დიდი ტრაგედიაა, რომ გარემო არის აგრესიული და სამართალდამცავებს გაზრდილ კრიმინალზე სათანადო ყურადღებისკენ და პრევენციული ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა.

3. 5 ნოემბერი, 2015წ.

კომისიის თავმჯდომარემ ქობულეთის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან დაკავებულებზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე გავრცელებული ინფორმაციის მიღებისთანავე ქობულეთის სამედიცინო

ცენტრში განთავსებული დაზარალებული ბ.მ მოინახულა, რომელსაც მიღებული ჰქონდა თავის ტვინის შერყევა და სხეულის მრავლობითი დაზიანებები.

მედეა ვასაძე დაზარალებულს გაესაუბრა შემთხვევის ფაქტთან დაკავშირებულ გარემოებებზე, გააცნო მისი უფლებები და გამოჯანმრთელება უსურვა, ასევე გაესაუბრა დაზარალებულის ექიმს.

იმავე დღეს, მომხდარზე, ბრიფინგი გამართა უმაღლეს საბჭოში, რომლის დროსაც აღნიშნა, რომ განსხვავებულ საქმეებზე, სხვადასხვა დროს, დაკავებული ადამიანები ასახელებენ ერთი და იგივე თანამშრომლებს და მიუთითებენ ჩვენების მიღების, მათ მიერ გამოყენებულ, ერთსა და იმავე მანკიერ მეთოდზე (ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე). მოუწოდა აჭარის ა.რ. პროკურორს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, მორალურად და ფიზიკურად დაზარალებული მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე თითოეული შემთხვევის ობიექტურად და მიუკერძოებლად შესწავლაზე. ასევე, მოითხოვა გამოძიებაზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, საეჭვო ქმედებებში მხილებულ თანამშრომლებზე, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, უფლებამოსილების შეჩერება.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიას კონტროლზე ჰყავს აყვანილი ყველა ასეთი შემთხვევა, რათა, ერთის მხრივ კანონიერი საშუალებებით დაცული იქნას უფლებაშელახული თითოეული ადამიანი, ხოლო, მეორეს მხრივ, სამართალდამცავ სტრუქტურებში აღმოიფხვრილ იქნას მსგავსი უკანონო ქმედებები.

4. 13 ნოემბერი, 2015

კომისიის თავმჯდომარის მედეა ვასაძის მოწვევით, აჭარას ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ბატონი ნილს მუიჟნეკსი ესტუმრა.

რეგიონში ევროკომისრის პირველი ვიზიტის ფარგლებში, მედეა ვასაძისა და ნილს მუიჟნეკსის შეხვედრა - აჭარაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობასა და პრობლემატურ საკითხებზე დახურულ ფორმატში, სასტუმრო „რედისონში" გაიმართა.

კომისარი ე.წ. „მუყაოს ქალაქის" პრობლემებით დაინტერესდა და აღნიშნა, რომ მათ დროულ მოგვარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ჯანმრთელობის, შრომის, სათანადო საცხოვრისის უფლებებზე, ასევე ბავშვთა უფლებების დაცვის, მათ შორის, ბათუმის მე-6 საბავშვო ბაღში, აღსაზრდელზე ძიძის მხრიდან ძალადობის ფაქტებზე.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა და ევროკომისარმა იმსჯელეს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების დაცვაზე და ამ მხრივ არსებული მდგომარეობაზე, ქალთა უფლებებზე და გენდერულ თანასწორობაზე. დეტალურად განიხილეს ქობულეთში, რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის კონკრეტული შემთხვევა, ასევე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გონიოში მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემისა და იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემებს.

შეხვედრის ერთ-ერთი წამყვანი თემა გახლდათ მართლმსაჯულებაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებები და ჯერ კიდევ არსებული პრობლემები. არასახარბიელოდ წარმოჩნდა პროკურატურის საქმიანობა, რადგან მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის, რომელიც სისტემურ ხასიათს ატარებდა, პასუხისგებაში არავინაა მიცემული. ითქვა გაუხსნელ საქმეებზეც, მათ შორის როინ შავაძის მკვლელობაზე.

საუბარი შეეხო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობასა და რეგიონში, წინასწარი დაკავებისას, დაკავებულებზე, ფიზიკური ზეწოლის ფაქტებს. მხარეებმა განიხილეს ქობულეთში მომხდარი კონკრეტული ინციდენტიც და გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, ამ კუთხით, გასატარებელ ღონისძიებებზე, იმსჯელეს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონსა და ამ კანონთან მიმართებაში საზოგადოების გარკვეული ნაწილის განსხვავებულ მოსაზრებებზე.

შეხვედრაზე გარკვეული დრო დაეთმო ისეთ აქტუალურ საკითხებს, კერძოდ, ადამიანის უფლებას უსაფრთხო გარემოზე - ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებულ რისკებს, თვითმმართველობებში განხორციელებულ დეცენტრალიზაციის რეფორმას, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" საპროტესტო აქციას და აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ კომისიის თავმჯდომარემ მოახერხა ჩვენი რეგიონის პრობლემატურ საკითხებზე კომისრის ჯეროვანი ინფორმირება, რასაც ცხადყოფს ევროკომისრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - საქართველოში ევროკომისრის 2015 წლის, 9-13 ნოემბრის ვიზიტის შესახებ, სადაც კომისარი ყურადღებას ამახვილებს ქობულეთში - სამართალდამცავების მხრიდან, უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე, ასევე რელიგიურ უმცირესობათა მიმართ შეუწყნარებლობის გამოვლენის შემთხვევებზე და ე.წ. „ოცნების ქალაქზე" - გთავაზობთ ზემოხსენებულ საკითხებზე ამონარიდების თარგმანს:

-„კომისარი შეშფოთებულია სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ... მათ შორის, ქობულეთის პოლიციის სამმართველოში დაკავებულებზე არაერთგზის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტების გამო. „საქართველოს ხელისუფლებამ სრულყოფილად უნდა გამოიძიოს აღნიშნული შემთხვევები, ისე, რომ პასუხისმგებელი პირები/დამნაშავეები შესაბამისად დაისაჯონ".

- „კომისარი შეშფოთებულია მუსლიმი თემის წევრთა მიმართ გამოვლენილი შეუწყნარებლობის გამო, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 2014 წელს ... ქობულეთში. უფრო მეტიც, მიაჩნია, რომ ეს და წინარე შემთხვევები, რომელიც ამხელს რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დარღვევებს, უნდა ყოფილიყო ეფექტური გამოძიების საფუძველი. „რელიგიურ უმცირესობებს არ უნდა შეექმნათ ხელოვნური ბარიერები მათი აღმსარებლობისას"

-„ ... ე.წ. „ოცნების ქალაქი, ნახევრად ფორმალური დასახლებაა, სადაც სიღარიბისა და სტიქიური უბედურებების გამო, მაღალმთიანი აჭარიდან, 900-მდე ოჯახია დასახლებული. ისინი ცხოვრობენ გაუსაძლის პირობებში, უწყლოდ და კანალიზაციის სისტემის გარეშე, არ იღებენ შესაბამის/სათანადო სოციალურ და სამედიცინო დახმარებას. „ხელისუფლებამ ეფექტური ღონისძიება უნდა გაატაროს ამ პირთათვის ელემენტარული პირობების დასაკმაყოფილებლად და მოძებნოს გამოსავალი მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად" - (http://www.coe.int/fr/web/commissioner).

მედეა ვასაძე გამოთქვამს იმედს, რომ ევროკომისრის რეკომენდაციები, ამ პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, გათვალისწინებული იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, რაზედაც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია განახორციელებს შესაბამის მონიტორინგს. აღნიშნული წარმოადგენდა კვარტალური სრული ანგარიშის წინმსწრებ ინფორმაციას, რომელიც ასევე, გამოქვეყნდა მითითებულ ოფიციალურ ვებგვერდზე 2016 წლის იანვარში.

5. 13 ნოემბერი, 2015 წ.

კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ ქობულეთსა და ბათუმში სხვადასხვა მოთხოვნებით დაწყებული აქციის მოშიმშილეები მოინახულა.

აქციაზე შიმშილის ფორმით მ.პ.გ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები საგარეჯოში შუალედური არჩევნების შესაძლო გაყალბებას აპროტესტებდნენ, რისთვისაც საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და სხვა პირების გადადგომას მოითხოვდნენ.

მედეა ვასაძემ ადგილზე მისვლით შეამოწმა არსებობდა თუ არა აქციისთვის შესაბამისი სტანდარტული პირობები და მოუწოდა გამგეობის შესაბამის და სასწრაფო დახმარების სამსახურებს, საჭიროებისას, დროული დახმარების გაწევისაკენ.

მოშიმშილეებთან შეხვედრის შემდეგ, მედეა ვასაძემ მოინახულა ქობულეთის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ფიზიკურად ნაცემი ბ.მ. (რომელიც მკურნალობას უკვე სახლის პირობებში აგრძელებდა).

6. 20 ნოემბერი 2015 წელი

კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში-„სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანები საქართველოში“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მოხელეები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აკადემიური წრეები და სხვა.

სამეცნიერო კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა, ქვეყნის უახლოესი წარსულის (2003-2013 წწ.) პოლიტიკური მოვლენების ანალიზი და შეფასება, სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანებისა და პრიორიტეტული ვექტორების განსაზღვრა, ჩარჩო - პროგრამების და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

მედეა ვასაძე, ასევე, მონაწილეობდა სექციების მუშაობასა და კონფერენციის მუშაობის შედეგების შეჯამებაში.

7. 26 ნოემბერი, 2015 წ.

კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ კიდევ ერთხელ დაგმო ა(ა)იპ ბათუმის ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულში, კერძოდ, მე-6 ბაღში, 2015 წლის 9 ნოემბერს, ძიძის მხრიდან, აღსაზრდელზე, განხორციელებული ძალადობის ფაქტი. ამასთან, უარყოფითად შეაფასა ამ ფაქტის მამხილებელი თანამშრომლის, აღმზრდელ ნ.ც-ს სამუშაოდან დათხოვნა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ბრძანების სამოტივაციო ნაწილში, საფუძვლად, მითითებულია შრომის კანონთა კოდექსი, გაერთიანების წესდება, შინაგანაწესი და დისციპლინური წარმოების კომისიის დასკვნა, იგი გარკვეულ წინააღმდეგობაშია იმ კანონის მოთხოვნებთან, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხები. ეს მოთხოვნა კი მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონს აქვს ჯეროვანი სიზუსტით ფორმულირებული ნორმა (მუხლი 3), რომლითაც ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს მხილების თავისუფლებასა და მამხილებელთა დაცვას. ეს კონკრეტული შემთხვევაც ამ შინაარსისაა და სახეზეა ვითარება, როცა მხილებით დაცული სიკეთე, ამავდროულად, საზოგადოების სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის თანაზომიერია, უფრო მეტიც, თავისი შინაარსით აღემატება კიდეც იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა, რომ არსებობდეს, ამ კადრების, მედია საშუალებებით გავრცელების გამო (თუმც, ასეთი ცინცაძეს ვერ უდასტურდება).

„გამომდინარე აღნიშნულიდან, ნ.ც-ს სამუშაოდან დათხოვნა (რა სხვა დამატებითი საფუძვლებითაც არ უნდა იყოს მოტივირებული) აღიქმება მხილების გამო ანგარიშსწორებად „ - განაცხადა მედეა ვასაძემ ამ საკითხისადმი მიძღვნილ ბრიფინგზე, რომლის დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ მოუწოდა ქალაქის მერს გიორგი ერმაკოვს, აღნიშნულ პროცესებში ჩართულობაზე, ხოლო, გაერთიანების ხელმძღვანელობას კანონის დაცვისაკენ, კონსტრუქციულობისაკენ და ვითარების გაჯანსაღებისათვის პრევენციული ღონისძიებების გატარებისაკენ.

8. 1 დეკემბერი, 2015 წ.

კომისიის თავჯდომარემ მედეა ვასაძემ მონაწილეობა მიიღო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის შესახებ დისკუსიაში, რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში, თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ორგანიზებით გაიმართა.

„ის, რაც შშმ პირის ომარ როდონაიას მხრიდან, მის ყოფით, გაუსაძლის პრობლემებზე მოვისმინე, იყო მძიმე ბრალდებები ხელისუფლებისადმი, რაც „მოგერიებას“ კი არა, მაღალი პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით დახვედრასა და დროულ მოგვარებას საჭიროებს“ - განაცხადა მედეა ვასაძემ შეხვედრაზე.

9. 4 დეკემბერი 2015 წ.

კომისიის თავმჯდომარე და წევრები აჭარის სახელისუფლებო დელეგაციასთან ერთად ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, ტრაპიზონში, სადაც ტრაპიზონის გუბერნატორს ჯელილ აბდილ ოზიმს და მერს ორჰან ფევზი გურმუქჩუოღლუს შეხვდნენ.

შეხვედრაზე იმსჯელეს ბათუმისა და ტრაპიზონის დაძმობილების 15-წლიანი მეგობრობის საიუბილეო თარიღსა და ერთობლივ პროექტებზე; მეზობელი ქვეყნების რეგიონების ტრანსსასაზღვრო ობიექტების განვითარება-თანამშრომლობაზე, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის სფეროებში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებზე, ასევე ტრაპიზონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტსა და ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე - ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობასა და ამ მხრივ გასატარებელ ღონისძიებებზე.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები თურქეთის საკონსულოსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ ლაზი მხატვრის - ჰასან ჰელიმიშის გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ.

10. 24 თებერვალი 2016 წ.

კომისიის თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა ადვოკატისა და დაკავებულის უფლებების დარღვევაზე. კერძოდ, 23 თებერვალს, საჯაროდ გახდა ცნობილი, რომ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ორი პირი დააკავეს, რომლებმაც უარი განაცხადეს ნარკოტესტის ჩატარების მიზნით ნიმუშის ჩაბარებაზე. გავრცელებული ინფორმაციით პოლიციაში, დაკავებულებთან არ შეუშვეს ადვოკატი, რითაც უხეშად დაარღვიეს დაკავებულის უფლებები, რადგანაც საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, დაკავების მომენტიდან პირის უფლებას ადვოკატზე.

მედეა ვასაძემ განაცხადა, რომ 2012 წლამდე, როგორც მოქმედი ადვოკატი მძიმედ აღიქვამდა ფაქტს, როცა ირღვეოდა მისი და დაკავებულის უფლება, კერძოდ, როცა ადვოკატებს საათობით უწევდათ აქა-იქ ,,დგომა და ბრძოლა" დაკავებულთან შეხვედრის კანონიერი უფლების რეალიზებისათვის და კომისიის სახელით მოუწოდა ყველა ადვოკატს, ანალოგიური შემთხვევის გამოვლენისას კომისიის ინფორმირებაზე.

ამ კონკრეტული შემთხვევის მოკვლევისა და შეფასების მიზნით, კომისიის ხელთ არსებული მასალები გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საიდანაც 2016 წლის 7 მარტს (09-02-16/91) მიღებული პასუხით ფაქტი დადასტურებულია და გატარებულია შესაბამისი დისციპლინური ღონისძიება.

11. 11 მარტი 2016 წ.

კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძემ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულ მრავალშვილიან ოჯახში, შიმშილის ზღვარზე მყოფი ექვსი თვის ბარბარეს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით გაზეთ „ბათუმელებში" გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთა განცხადება, რომელშიც აღინიშნა, რომ ბოლო დროის სტატისტიკური ანალიზით, სამჯერაა გაზრდილი ყოფითი პრობლემების, მათ შორის სოციალური დახმარების მოხსნით გამოწვეული, კომისიაში შემოსული საჩივრების რაოდენობა.

სტატიიდან ირკვევა, რომ ბარბარეს ოჯახიც სახელმწიფოდან იღებდა ამ დახმარებას, თუმც იგი მოხსნილია კონკრეტული მიზეზით - მამის დასაქმებით, რომელიც მას მალევე დაუკარგავს.

2012 წელს, „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა სოციალური პროგრამით. 2014 წლის ბოლოდან კი მასიურად განხორციელდა ოჯახებისათვის უკვე დადგენილი სოციალურად დაუცველის სტატუსის გაუქმება, რაც ცალსახად ნიშნავს იმას, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში განხორციელდა (ამ კატეგორიის ოჯახთათვის საზიანო) ცვლილებები, რისი თქმაც, ხელისუფლებას, პირდაპირ არ სურს და სწორედ ამაზეა გამახვილებული ყურადღება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ა.რ. ფილიალისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელებისადმი 2016 წლის 4 მარტს (09-02-12ყ/66) გადაგზავნილ კომისიის თავმჯდომარის მიმართვაში.

განცხდებაში ნათქვამია, რომ მედეა ვასაძემ არაერთხელ დასვა ეს საკითხი შესაბამისი უწყებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროკომისრის წინაშე, იმავდროულად გააკეთა საჯარო განცხადება, რომ 2016 წლის ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერდა თუკი, მაგალითად, ე.წ. „ოცნების ქალაქში" უზრუნველყოფილი არ იქნებოდა არსებობისათვის აუცილებელი, ელემენტარული პირობები. მიუხედავად ამისა ამ შეთავაზებაზე არავინ გამოხმაურებია და 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტშიც მისი გვერდის ავლით იქნა მიღებული.

განცხადებაში მედეა ვასაძე მოუწოდებს ქვეყნისა და რეგიონის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას, ამ საკითხებში, არსებული მდგომარეობის გადახედვისა და შეფასებისაკენ.

რაც შეეხება 6 თვის ბარბარეს საკითხს, კომისიის მხრიდან გადაგზავნილ წერილზე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან 2016 წლის 23 მარტს (09-02-15/109) კომისიას წერილობით ეცნობა, რომ ბარბარეს გაეწია შესაბამისი სამედიცინო და მატერიალური დახმარება, რომ მისი მდგომარეობა სტაბილურია და იმყოფება ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

12. 14 მარტი, 2016 წ.

2015 წლის 9 ივლისს კომისიის თავმჯდომარემ მედეა ვასაძემ ბათუმის დელფინარიუმში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის დელფინებთან ინტერაქტივში უფრო ძვირი სერვისის არსებობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის კონტექსტში დისკრიმინაციად შეაფასა, რადგან შშმ პირთა სოციალური დაცვისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის მექანიზმების ამოქმედებისათვის, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფისათვის და რესოციალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო სერვისების შეთავაზება, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირატესი მოცემულობაა.

მიდგომა, ზოგადად, დისკრიმინაციულია, მით უფრო, რომ ბათუმის დელფინარიუმი მუნიციპალური ორგანიზაციაა და ამიტომ მოუწოდა ბათუმის მერიას, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისაკენ .

მოგვიანებით, აღნიშნულზე, 2016 წლის 14 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადასტურდა მედეა ვასაძის პოზიციის მართებულობა ამ საკითხისადმი.

13. 18 აპრილი, 2016 წ.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე კახაბრის 26-ე საჯარო სკოლასთან არსებულ ინკლუზიური სწავლების ცენტრში, მოსწავლეებსა და აღმზრდელ -მასწავლებლებს შეხვდა, რა დროსაც შპს „ბალავარმა", საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, მასპინძლებს საჩუქრები გადასცა.

შეხვედრისას, აღმზრდელ - მასწავლებლებმა მედეა ვასაძეს დაათვალიერებინეს სახელოსნოები, რასაც რამდენიმე საკლასო ოთახი აქვს დათმობილი და სადაც გამოფენილია სხვადასხვა ნამუშევრები.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების მიერ შესრულებული ხელნაკეთი ნივთების მასალების შესაძენად მეტი სახსრებია საჭირო, რისი მოძიებაც უჭირთ. კომისიის თავმჯდომარემ მათ მხარდასაჭერად, გამოფენა - გაყიდვის მოწყობა შესთავაზა.

შეხვედრის დასასრულს, ინკლუზიური სწავლების ჯგუფის მოსწავლეებმა მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს.

14. 27 აპრილი, 2016 წ.

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის ინიციატივითა და ორგანიზებით, ინკლუზიური სწავლების ჯგუფის მოსწავლეთა მხარდასაჭერად, 2016 წლის 27 აპრილს, აი-პი-ს თანამედროვე ხელოვნების თავისუფალი სივრცის" გალერეაში გამართა მათი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა - გაყიდვა.

ღონისძიებაში მონაწილეობენ აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრები, მთავრობისა და მათი საქვეუწყებო სტრუქტურების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და სხვები.

- ღონისძიებაზე მედეა ვასაძემ აღნიშნა, რომ ფასდაუდებელია ის შრომა, რომელიც ამ მოზარდებმა თავიანთ ნამუშევრებში ჩადეს, რომ ჩვენი საზოგადოება მზადაა ხელი შეუწყოს ამ ადამინების ადაპტირებას, რაც ბუნებრივია, ორივე მხრიდან დადებით ემოციებს იწვევს და ხელს უწყობს შშმ პირების მოტივაციის ზრდას, რათა მეტად დაიხარჯნონ და განვითარდნენ.

ღონისძიება გაიმართა უმაღლესი საბჭოს ეგიდით, აჭარის განათლების სამინისტროსა და ბათუმის მერიის მხარდაჭერით.

ღონისძიების დასასრულს უმაღლესი საბჭოს სახელით, ინკლუზიური სწავლების ჯგუფის მოსწავლეებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

15. 10 ივნისი 2016 წ.

კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე ქვეყნისათვის მნიშვნელოვნად საზიანო გარემოებაზე ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიაზე" ასაჯაროებს წერილს - (09-02-16/330), რომლითაც შესაბამის უწყებებს (საქართველოს მთავარ პროკურორს, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ მთავრობის თავმჯდომარეს, პროკურორს; შსს აჭარის ა.რ. პოლიციის დეპარტამენტს, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს) ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის" წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად გონივრულ და ქმედით ღონისძიებებს სთხოვს.

წერილი განაპირობა აღნიშნული პრობლემით შეწუხებული მოქალაქეების - ფსიქოტროპიულ მედიკამენტებზე დამოკიდებულ ადამიანთა ოჯახის წევრების, ნათესავების, მეზობლების კომისიაში მომართვიანობის მატებამ, რომლებიც იმყოფებიან სასოწარკვეთილ მდგომარეობაში და ხსნას სახელმწიფოს მიერ გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებში ხედავენ. სამწუხაროდ, აქვე გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ამ „საქმეს" ჰყავს ისეთი „მფარველები", რომ ამ დრომდე, ფაქტის აღკვეთის ვერცერთმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

ამდენად, ჩვენს რეგიონში და ზოგადად ქვეყანაში ფსიქოტროპულ პრეპარატებზე დამოკიდებულ პირთა შესამჩნევ ზრდას, რომლებიც უმუშევრობისა და სხვადასხვა სოციალური პრობლემების გამო, თავიანთ საუკეთესო წლებს ამ საშუალებების მოპოვება - მოხმარებას „უძღვნიან", მედეა ვასაძე აფასებს, როგორც ქვეყნის წინაშე არსებულ უმნიშვნელოვანეს, საგანგაშო, გამოწვევას, რაზედაც შესაბამის უწყებებს მოუწოდებს ადეკვატური რეაგირებისაკენ.

ამავე წერილში მედეა ვასაძე მიუთითებს 2 აფთიაქზე, რომლებზეც კომისიაში შეტყობინება შემოვიდა, მათ შორის, ერთ-ერთ აფთიაქში, ინფორმაციის გადასამოწმებლად, პირადად მივიდა, რის შემდეგაც ამ აფთიაქმა შეწყვიტა საქმიანობა, თუმც იგი გააგრძელა სხვა მისამართზე.

აღნიშნულზე კომისიის თავმჯდომარის აქტიურობამ ხელი შეუწყო რიგი ღონისძიებების გატარების დაჩქარებას, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მიმდინარე წლის 1 აგვისტოს წარმოადგინა ახალი გეგმა სააფთიაქო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, გააქტიურდა სამედიცინო რეგულაციების სახელმწიფო სააგენტოს სპეციალური კომისია აფთიაქების შემოწმებების კუთხით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ კი 2016 წლის 22 აგვისტოს ფარმაცევტული საქმიანობის დარღვევის საფუძველზე 7 აფთიაქი დააჯარიმა, ხოლო აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნუგზარ სურმანიძემ უმაღლესი საბჭოს 18 ივლისის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარეს მედეა ვასაძეს საკითხით დაინტერესებისა და თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა.

16. 22 ივნისი 2016 წელი

კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძემ გამართა ბრიფინგი - ბრალდებულების გიორგი პაპიძისა და კარლო სურგულაძისათვის პოლიციელთა მხრიდან ნარკოტიკებისა და ცეცხლსასროლი იარაღის სავარაუდო ჩადების ფაქტზე შექმნილ ვითარებაზე და კომისიისადმი მომართვიანობის ზრდამ, რომლის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეთა დაკავებისას, პოლიციის მხრიდან, გახშირებულია ძალადობრივი ქმედებები და კიდევ უფრო გახშირებულია ნარკოტიკულ ნივთიერებათა და ცეცხლსასროლი იარაღის ე.წ. „ჩადების" ფაქტები - განაპირობა აღნიშნულზე ბრიფინგით გამოხმაურება. კერძოდ, საქმე ეხებოდა 2016 წლის 27 მაისს, ღამის 1-4 საათებს შორის, ბათუმში, ჭავჭავაძისა და ლერმონტოვის ქუჩების კვეთაში, „ვი-თი-ბი„ ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებულ გიორგი პაპიძისა და კარლო სურგულაძის დაკავებას. დაკავების ადგილი „შერჩეული" იქნა თვით ბრალდებულების მიერ, რომლებიც ხედავდნენ რა მათზე ადევნებულ პოლიციის ავტომანქანას, თავიანთი მანქანის გაჩერება გადაწყვიტეს განათებულ და რამდენიმე (4 ობიექტის) სათვალთვალო კამერების კონტროლქვეშ არსებულ ტერიტორიაზე. დაკავებულებს, ჩხრეკისას (ოქმის მიხედვთ), აღმოაჩნდათ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და ცეცხლსასროლი იარაღი, წაეყენათ ბრალი, შეეფარდათ აღკვეთი ღონისძიება - პატიმრობა და განთავსებულნი იქნენ ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ბრალდებულები არ ეთანხმებოდნენ რა წაყენებულ ბრალს შიმშილობით გამოხატავდნენ პროტესტს. ბრალდებულებს, ჩატარებული შემოწმებით, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებათა მოხმარების ფაქტი არ გამოუვლინდათ, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი დაავადებულია ეპილეფსიით, ანუ არსებობს ასეთის გამოყენების სამედიცინო ჩვენება.

მედეა ვასაძეს მიაჩნია, რომ დაკავებულების მხრიდან წარმოდგენილი მასალების ანალიზი, სათვალთვალო კამერებით აღჭურვილ ობიექტების თანამშრომლებთან გასაუბრებები, იმ პირთა გამოკითხვები, რომლებიც გვერდიდან აკვირდებოდნენ ჩხრეკისა და დაკავების პროცესს, მაღალი ალბათობით იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ კარლო სურგულაძისაგან და გიორგი პაპიძისაგან, ნივთმტკიცებად ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი პისტოლეტი და ნარკოტიკული ნივთიერებები, გახლავთ ბრალდებულებისათვის ჯერ მისი „ჩადების", შემდეგ კი მისი „ამოღების" პოლიციის თანამშრომელთა მიერ ორგანიზებულად განხორციელებული ქმედება. სავარაუდოდ, მტკიცებულებათა „მიკუთვნება" ბრალდებულებისათვის, მოხდა იმისდა შესაბამისად, წარსულში თუ რა დანაშაულისათის ერიცხებათ მათ ნასამართლობა.

სამწუხაროდ, ყველა იმ ადამიანმა, რომლებთანაც კომისიის თავმჯდომარემ მოახერხა გასაუბრება, მოითხოვა ანონიმურობის დაცვა, რასაც ხსნიან იმით, რომ თავიდან აიცილონ მოსალოდნელი დევნა და ზეწოლა. კომისიის თავმჯდომარე, ცხადია, იცავს ამ პირობას, მაგრამ აღნიშნავს, რომ სახელისუფლებო ცვლილებამ, ვერ უზრუნველყო ადამიანებში ნდობის მოპოვება და ასეთი საკითხებისადმი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლება.

გამომდინარე აღნიშნულიდან მედეა ვასაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ქვეყანაში, ამ უმსგავსო ქმედებებით გრძელდება უკანონო დაპატიმრებები; კვლავ მუშაობს „შიშის" სინდრომი; შესაძლებელია მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნა, ფალსიფიკაცია, განადგურება; მიუხედავად ფაქტების არსებობისა, მასში მონაწილე

პირთა დასჯადობაზე სტატისტიკა, თითქმის ნულის ტოლია. აქვე აღნიშნა, რომ მისთვის დაუშვებელია ასეთი ფაქტების, კვლავ არსებობით, ქვეყნის წარსულში დაბრუნება, პოლიციის მიმართ საზოგადოების უნდობლობის კიდევ უფრო გაღრმავება, კონკრეტულ ფაქტებზე უდანაშაულო ადამიანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, წლობით, გამწესება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი წარსულში ნასამართლევი არიან.

აღნიშნულზე კომისიის თავმჯდომარემ მოუწოდა როგორც საქართველოს მთავარ პროკურორს ირაკლი შოთაძეს და შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი მღებრიშვილს, ასევე აჭარის ა.რ. პროკურორს ლევან პაქსაშვილს და აჭარის ა.რ. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს ლაშა გოგნიაშვილს, პოლიციელთა მხრიდან, შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე დროული და ეფექტური გამოძიების დაწყებისაკენ. ხოლო დაცვის მხარეს -ამ კონკრეტულ საქმეზე, ჭეშმარიტების დადგენისათვის ძალისხმევის მობილიზებისაკენ, რათა შეიქმნას ბრალდებულების მიმართ აღკვეთი ღონისძიების შეცვლის წინა პირობა მაინც, ამასთან, უზრუნველყოფილი იქნას ვიდეოთვლების ჩანაწერების, როგორც მტკიცებულებების (სავარაუდო) განადგურებისაგან (ან ფალსიფიკაციისაგან) დაცვა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბოლო დროს პატიმართა მონახულებას კომისიის თავმჯდომარე ვერ ახერხებს, ვინაიდან მისი უფლებამოსილება, მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ საპატიმრო დაწესებულებაზე ვრცელდება. ამდენად, ბრალდებულთა და პატიმართა უფლებების დაცვისათვის ხელშემშლელია ის არასწორი პრაქტიკა, რომ რეგიონში ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე, პასუხისგებაში მიცემული პირების განთავსება, უმეტესწილად, ხდება ქუთაისის დაწესებულებაში, მაშინ როცა ბათუმის მე-3 დაწესებულებაში შესახლებული მსჯავრდებულები სხვადასხვა რეგიონებიდან არიან, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაშია პატიმრობის კოდექსთან იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს უნდა იხდიდეს მისი, ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ორივე ბრალდებულს აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა გირაოთი შეეცვალა.

17. 22 ივნისი 2016 წ.

კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე აჭარის ა.რ. მთავრობის სახლის წინ, მიწის დაკანონების მოთხოვნით გონიოს მაცხოვრებელთა აქციაზე მივიდა, რომლის დროსაც, პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს აქციის რამდენიმე მონაწილე.
სიტუაციის ადგილზე შესწავლისათვის მედეა ვასაძემ დაახლოებით ორი საათი დაჰყო.

მოგვიანებით გონიოს მაცხოვრებელთა აქციამ ბათუმის მერიასთან გადაინაცვლა ამ საკითხზე - ბათუმის საკრებულოსთან არსებული საკუთრების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიისაგან გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით, კერძოდ, ამ საკითხებზე გამოცემული სამართლებრივი აქტების ბათილობის მოთხოვნით, რის საფუძველზეც უკანონოდ იქნეს ცნობილი ის სამართლებრივი აქტები, რის საფუძველზეც 2010 გონიოს მაცხოვრებლებს მიწის ნაკვეთები ჩამოერთვათ.

ამასთან დაკავშირებით, 23 ივნისს, მედეა ვასაძემ - აქციის მონაწილეებზე განხორციელებული ქმედება დარბევად შეაფასა და აღნიშნა, რომ არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ 22 ივნისს, ბათუმში, მთავრობის სახლის წინ გამართულ აქციაზე,

მონაწილეებმა კანონის მოთხოვნა დაარღვიეს და ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს, ისევე, როგორც არ დაეთანხმა საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის განცხადებას - ამ პრობლემურ საკითხზე გადაწყვეტილების მიუღებლობის მიზეზებზე, რომელსაც გონიოს მოსახლეობა წლებია ელოდება.

მედეა ვასაძემ, როგორც, აქციის თანამონაწილემ, კიდევ ერთხელ, განცხადებაში დაადასტურა, რომ აქცია იყო „შეკრებისა და მანიფესტაციის" შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისობაში და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების" შესახებ კანონის ფარგლებში. ამდენად, შეკრებილთა, თითქოსდა, ადგილმონაცვლეობაზე პოლიციელთა ქმედებას ჰქონდა დარბევის სახე, რითაც ხელყოფილ იქნა დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი პრინციპი, რომ შეზღუდვით მიყენებულ ზიანზე გაცილებით მეტი უნდა იყოს შეზღუდვით დაცული სიკეთე. აქვე დასძინა, რომ კანონის შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში (მაგალითად, გზის სავალი ნაწილის გახსნის მოტივით) ქმედებაზე (ძალის გამოყენებაზე) გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, შესაბამისად, პასუხისმგებლობა, ამ შეკრების დაშლით გამოწვეულ შედეგებზე, ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობასა და აჭარის მთავრობას.

განცხადების დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ მოუწოდა ყველა იმ თანამდებობის პირს, ვისაც, სადაო საკითხზე, კანონი, ავალდებულებს გადაწყვეტილების - მიღებას, პროცესის დაჩქარებაზე, რათა აღმოფხვრილი იქნას მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილებისა და პროტესტის საფუძველი, რომელიც უკავშირდება „გონიოს მიწებზე" საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მედეა ვასაძე ესწრებოდა აქციაზე დაკავებულ პირთა სასამართლო პროცესებს და ჰქონდა სისტემატური შეხვედრები აქციის სხვა მონაწილეებთან.

18. 1 ივლისი, 2016 წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის მურმან დუმბაძის ბიუროდან კომისიას 2016 წლის 20 ივლისს (09-02-16/389) გადმოეგზავნა მოქლაქე ნ.კ განცხადება, ქალიშვილის ნ. ნ. მიმართ, ოჯახის წევრების მხრიდან განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობის ფაქტზე, რასაც შედეგად მოჰყვა ნ.ნ-ის მწვავე პოლიმორფული ფსიქოზური აშლილობა, აღნიშნულზე რეაგირების მიზნით განცხადება და თანდართული მასალები გადაიგზავნა აჭარის ა.რ. პროკურატურაში, ბათუმის რაიონულ პროკურატურაში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, რაზედაც აჭარის ა.რ. პროკურატურიდან, 2016 წლის 4 აგვისტოს გვეცნობა, რომ აჭარის ა.რ. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, მოქალქე ნ.ნ ის მიმართ 2016 წლის 14 მაისს მ. ხ. მხრიდან შესაძლო ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით.

19. 2016 წლის 31 ივლისი

მე-6 განყოფილებაში ირაკლი ქაჯაიას ცემის ფაქტზე გასული სატელევიზიო სიუჟეტის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე, დაინტერესდა ფაქტით.

დაზარალებულის დედამ დახმარებისათვის, კომისიის თავმჯდომარეს, 2016 წლის 8 აგვისტოს (09-02-13დ /268) მიმართა. წერილი გადაგზავნილ იქნა აჭარის პროკურატურაში - საქმეზე დროული რეაგირების მოთხოვნით, საიდანაც კომისიას 2016 წლის 26 აგვისტოს ეცნობა, რომ - აჭარის ა.რ. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა.რ. პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს მე-6 განყოფილების თანამშრომლების მხრიდან ადმინისტრაციული წესით დაკავებულ მოქალაქე ირაკლი ქაჯაიას მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, ჩადენილი ძალადობით, სსსკ 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათავლსწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მედეა ვასაძე